№ 27

შაბათი, 5 თებერვალი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 27

შაბათი, 5 თებერვალი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

შაბათს, 12 თებერვალს, დაბა ხონის მაცხოვრის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის ექიმის

**გრიგოლ სპირიდონის ძის ქუთათელაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც ღრმად მწუხარენი მამა, დედა, ძმა და და მისნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა.
წირვა დაიწყება დილის $10^1/_2$ საათზედ.

**ქართული თეატრი**

კვირას, 6 თებერვალს 1900 წ.

**ბენეფისი ბ-ნ შათირიშვილისა**

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**ოტელო**

ტრაგედ. 5 მოქ. შექსპირისა, თარგმ. ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. კარგარეთელი, ნებიერიძე; ბბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე, ჭელიძე, იმერიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი **გ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ზ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. ნ. შაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7—7^1/_2$ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (—1—წ).

**ექიმი**

**კ. ი. გძელიშვილი**

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. **Михайловская, противъ кирки.**

(100—31—91)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ბ. ზ. მალალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

**ე. პ. გაუდელინი.** 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

ქ. ბათუმში დაარსებული

**ძმ. ჩილინგირიანის**

**კანტორა**

უცხადებს კავკასიის საზოგადოებას, რომ **ჰყიდის**

**აბრეშუმის თესლს**

ბაღდადის ტეირსა და საფრანგეთის ყვითელს პირველ ხარისხის პარკისას. თესლები ბანდეროლიანია, დაბეჭდილი და შემოწმებული საბრეშუმო სადგურის მიერ. (7—32—1)

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორი

**მაკს ოსიპის ძე ფიშერი**

მიიღებს მთხოვნელებს ტფილისის სავაჭრო-სამანუფაქტურო კომიტეტის სადგომში ყოველ დღე დილით 11 საათიდგან 12 საათამდე. სერგეევის ქუჩა, სახლი № 1. (3—6.—1)

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 4 თებერვალს, ტფილისის დეპუტატთა საკრებულოში ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებოდ დანიშნულმა კრებამ მოისმინა 31 იანვარს არჩეულ კომისიის მიერ ხელმწიფე-იმპერატორის წინაშე წარსადგენად შედგენილი მოხსენება. შენიშნა ზოგიერთი ნაკლულევანება და დაადგინა: ამ შენიშვნებისამებრ შესწორებულ იქმნას მოხსენება და გასწორებული და დამთავრებული წარმოუდგინოს კომისიამ თავად-აზნაურთა საგანგებო კრებას, რომელიც ორშაბათს 7 თებერვლისათვის დაინიშნოს.

*** ჩვენ უკვე გვქონდა მოკლედ გამოცხადებული ტფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენი თ. ბაგრატიონ-მუხრანსკის და პლიუშჩევსკის დავის შესახებ, მოგვყავს ეს განაჩენი იმ სახით, როგორც სასამართლოს აქვს დაწერილი: „კონსტანტინე რაფაელის ძის პლიუშჩევსკის მიერ აღძრულ დავის საფუძვლად წარმოდგენილი წერილობითი ვალდებულების ქაღალდი ყალბად იქმნას ცნობილი და იგი ამოირიცხოს დავის დასამტკიცებელ საბუთთაგან, კ. რ. პლიუშჩევსკის მემკვიდრეთა რწმუნებულს, ნაფიცს ვექილს ე. კ. შონს უარი ეთქვას და არ იქმნას შეწყნარებული მისი შუამდგომლობა, რომ სადავო ფულის უზრუნველ-საყოფელად თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის უძრავი ქონება შეიკრასო. დამთავრებულის სახით გარდაწყვეტილება 17 თებერვალს გამოცხადდეს“.

*** პარასკევს, 11 თებერვალს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება. კრებაზედ განხილულ იქნება სხვა-და-სხვა მეაბრეშუმეთაგან აბრეშუმის თესლის ვაჭრობის შესახებ წარდგენილი მოსაზრებანი. ამ საქმის შესახები დადგენილება წარედგინება კავკასიის მთავარ-მართებელს განსახილველად.

*** როგორც შევიტყეთ, კავკასიის მცირეწლოვან დამნაშავეთა

## ფელეტონი

### სხვა ცის მნათობი

(ამბავი მორისა მონტეგიუსა)

გუშინ საღამოს, როდესაც ჩემი მეგობრის, ცნობილის ასტრონომის მერრიკას კაბინეტში შევედი, პირველ წამსვე გამაკვირვა მისმა დაღვრემილმა სახემ. მაშინვე მივხვდი, რომ ამ კაცს რამე საშინელი უბედურება შემთხვევია მეთქი; რადგანაც ნამდვილ მამაზედ ნაკლებ არ მიყვარდა, ამიტომ სახეზედ ვკითხულობდი მის სულიერს მდგომარეობას. დიაღ, ძალიან მიყვარდა, გულწრფელად—და თაყვანსა ვცემდი...

ეს სამოცდა ათი წლის მოხუცი სწორედ იდეალად მყვანდა გამოხატული. იმისდა მიუხედავად, რომ გატაცებული იყო მეცნიერებით, ყოველ დღე მოგზაურობდა ვარსკვლავთა სამეფოებში, არ დაუვიწყნია ამ ქვეყნად ტანჯულნი და დიდის გულ-მოდგინებით ადევნებდა თვალყურს მრავალ სხვა მეცნიერებსავით, ჰკუა-გონების განვითარება სრულიად არ ამცირებდა მის გრძნობათა კეთილ მისწრაფებათ. ყოველთვის დაბეჯითებითა ჰლაპარაკობდა და რაც უნ-ეთქვა, ბრმად ვერწმუნებოდი...

ჩამოვართვი თუ არა გამოწვდილი ხელი, უნებლიედ ვკითხე:

— რა დაგმართვიათ?.. რა მოხდა?.. რაღაცაზედ გაჯავრებული და შეწუხებული ხართ!.. რაღაც სასოწარკვეთილი შეხედულება გაქვთ!..

მოხუცი ეცადა გაღიმებას და შემდეგ ყრუდ მიპასუხა:

— დიაღ, ჩემო მეგობარო, მართლა შეწუხებული ვარ... დავრწმუნდი, რომ შემცდარი ვარ და ვნანობ, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე მეცნიერებას შევწირე!

მე ველარ მოვითმინე და გაცხარებით წარმოვთქვი:

— როგორ?! თქვენ ჰნანობთ, თქვენ?! სხვას, ვისაც უნდა ეთქო ეგ სიტყვა ჩემთვის, ადვილი გასაგები იქნებოდა, მაგრამ თქვენ!.. ყველაფერი დაივიწყეთ!.. არ შეუშინდით წამოგეყენებინათ მძიმე კითხვები და მათის გადაწყვეტით სრული სიმშვიდე მოიპოვეთ... თქვენის წყალობით მეცნიერებამ ბევრი რამ შეიმატა... თქვენს წინაშე მუხლს იდრეკენ სწავლულები. თქვენ განაახლეთ ვარსკვლავთა მეცნიერება, თქვენ აღმოაჩინეთ ურიცხვი გზები ცის სივრცეში და ყველა ამის შემდეგ კიდევ ჰნანობთ?!.

მოხუცმა თავი გაიქნია.

— ვაი რომ,მე არა ვჭკობ!..ვნანობ, მეტი არაფერი! მიმიხვდებით... მართალია, როდესაც გაიგებთ ჩემს აზრს, ადვილი შესაძლებელია, ზიზღით მხრები აიჩეჩოთ, ან გაიღიმოთ, იმის და მიუხედავად, რომ დიდად პატივსა მცემთ... მაგრამ იმ ნაირადვე ვარ შექმნილი, როგორც სხვები... მე კაცი ვარ... მამაკაცი! ყური მომიგდეთ! თქვენ იცით, რომ ახალგაზდობიდგანვე სხვა დაკვირვება გამოკვლევასთან ერთად, ჩემს ოცნებას შეადგენდა—რამე გზით მარეხზედ მცხოვრებლებთან რამე კავშირი დამეჭირა. მარეხი, როგორც ვიცით, დედამიწასთან ყველა სხვა პლანეტებზედ ახლოა არის და საწყალი ჩვენი დედამიწა ნამდვილსა თუ ოცნებითს მსგავსებას წარმოადგენს. აზრად არა მაქვს ლექცია წაგიკითხოთ. მინდა მხოლოდ ყველაფერი გიამბოთ, რომ ჩემის აზრის გაგება გაგიადვილდეთ.. ამ ამოცანას შევსწირე სრული ჩემი სიცოცხლე—ყველა ის, რასაც სიამოვნების მოცემა შეუძლიან. ოცის წლიდგან დაწყებული ორმოცამდე ყოველი დღე და ღამე შევალიე დაკვირვებას, მთელის საათობით არა ვშორდებოდი დურბინდს. მერმისის დიდის რწმენით აღჭურვილი ვივიწყებდი აწმყოს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი არსებობა სიკვდილით არა თავდება და სიკვდილი სხვა არა არის რა, თუ არ იდუმალი გარდაცვლა, და რომ ჩვენი ცხოვრება სხვა პლანეტაზედ გრძელდება. ამ ქვეყნიდგან პირველი გადასანაცვლო ალაგი არის—მარეხი. მე ჩემს თავს ვეუბნებოდი მარეხზედ ველირსები ყოველსავე იმას, რაც აქ დამაკლდა. იქ ვიცხოვრებ ჩემთვის და მომავლისათვის აღარაფერს ვიზრუნებ-მეთქი! ამის გამო არასოდეს არ გამომიცდია არც სიხარული და არც სიამოვნება. მთელს ჩემს სიცოცხლეში მარტოდ მარტო ვიყავი. თუმცა საკმაოდ ლამაზი ვიყავი, არ გამომიცდია გრძნობა სიყვარულისა და ეხლა აგერ სამოცდა-ათი წლისა ვარ.

მერრიკი პატარა ხანს გაჩუმდა, რადგანაც ძლივს ამტკიცებდა მძიმე ოხვრას, რომელიც ქვითინს უფრო ჰგავდა. შემდეგ სუსტის ხმით განაგრძო:

— მარეხი!.. რამდენადაც მეტად ვსწავლობდი ამ მნათობს, იმდენად უფრო ვრწმუნდებოდი, რომ იქ

გამასწორებელ საზოგადოების გამგეობას ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ მცირეწლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენში საპალოსნო სასწავლებელი იქმნას დაარსებული. ამ საქმის გამო სათანადო მთავრობასთან შუამდგომლობის აღძვრა საზოგადოების გამგეობას მიუნდვია თავისს წევრის ბ-ნ სულტან-კრიმ-გირეისათვის.

⁂ საერო განათლების სამინისტროს შეუმუშავებია პროექტი პირველ-დაწყებით სასწავლებლებში სხვა და სხვა ხელობისა და ტეხნიკური საგნების სწავლებისა.

⁂ ხვალ, 6 თებერვალს, წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში ვერაზედ მწირველი იქნება მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი. წირვის დროს იგალობებს ქართული საეკკლესიო მგალობელთა გუნდი.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელმა ნება დართო ხელის მოწერა გაიმართოს ქ. ალექსანდროპოლში ახალქალაქის მაზრის მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებელთა სასარგებლოდ.

⁂ ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორი ბ-ნი ს. ს. ფიშერი ამ დღეებში უკვე ჩამოვიდა ქალაქში.

⁂ გუშინ, 4 თებერვალს, უკვე წავიდა პარიჟში კავკასიის მუზეის დირექტორი ტ. ს. გ. ი. რადდე, რომელსაც პარიჟის მსოფლიო გამოფენის კავკასიის განყოფილების გამართვა აქვს მინდობილი.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ წინადადება მისცა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ მიიღოს თავისს თავზედ ადგილობრივ მცხოვრებელთათვის წვრილის კრედიტის დაწესებულების დაარსების საქმე.

⁂ როგორც გაზეთი „Пріазов. Край" იუწყება, როსტოვის კაპიტალისტებს განუზრახავთ „კავკასიის სამთო სამრეწველო საკომერციო ბანკის" დაარსება. წესდება უკვე შეუმუშავებიათ და მალე წარუდგენენ სათანადო მთავრობას დასამტკიცებლად.

⁂ ქ. სიღნაღი. სიღნაღს ეწვივნენ ცნობილნი მსახიობნი ძმები გამყრელიძენი და 30 იანვარს გამართულ იქმნა წარმოდგენა. ითამაშეს კომედ. „ადვოკატი მელაძე" და ვოდევილი „ორი მშიერი". როგორც მოსალოდნელი იყო, ბ-ნთ გამყრელიძეებმა საუცხოოთ შეასრულეს თავიანთი როლები. კარგი იყო გლეხი-კაცის როლში ბ-ნი მოშიაშვილიც. ხალხი სამწუხაროდ ცოტა დაესწრო, თუმცა წარმოდგენები საზოგადოდ აქ იშვიათად იმართება. არ შემიძლიან აქვე არ აღვნიშნო კლუბის ზოგიერ წევრთა უზრდელობა: დაიწყო თუ არა წარმოდგენა, მაშინ მოუნდათ იმათაც ბილიარდის თამაში; ბურთების ჩხაკა ჩხუკი და ერთი ყვირილი ასტეხეს. ხვეწნა-მუდარამაც არ იმოქმედა მათზედ. აქვე თუმცა კლუბის მამასახლისიც იყო, მაგრამ ყურიც არ ათხოვა ამ უწესოებას. წარმოდგენის შემდეგ ცეკვა უნდა გამართულიყო, —ასე იყო წინათვე გამოცხადებული,—მაგრამ მოულოდნელად იმავე მამასახლისმა გამოაცხადა, რომ ცეკვა არ იქნებაო; მიზეზი-კი ვერ შევიტყვეთ. წარმოდგენის გამგეს—ბ-ნს აჯიმამუდოვს ისღა დარჩა, რომ ბოდიში მოეხადნა საზოგადოების წინაშე ასეთ უეცარ გარდაწყვეტილების გამო.

⁂ როგორც „ტფ. ფურც."-ი იუწყება, პოლიციის პირველს ნაწილში მისულა მიხ. სვიმონოვი, ქმარი მოკლულის ეფ. სვიმონოვისა და განუცხადებია, რომ ამ უკანასკნელს ხანებში ვცხოვრობდი სადგურ ქელასში, ცოლის მოკვლის ამბავი გაზეთებიდგან გავიგე. 12 თუ 14 იანვარს, ტფილისიდგან წასვლის წინ, დავიქირავე მუშები აგურის საკეთებლად და ჩემ ცოლს 30 მანეთი დავუტოვე, რომ ეს ფული შაბათობით მიეცა მუშებისათვის. ორის დღის მუშაობის შემდეგ მუშებს გარდაცვალებულის ე. სვიმონოვისათვის ფული უთხოვნიათ, რაზედაც სვიმონოვისას გამოუცხადებია, რომ, როგორც ქმარმა მითხრა, ფული ერთის კვირას მუშაობის შემდეგ უნდა მიიღოთო. ამას გამო მუშებს მუშაობა შეუწყვეტიათ. გამომძიებელმა ორი მუშა, მამა და შვილი, დააპატიმრა, რადგანაც ეჭვი იმათზედ მიიტანა.

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა სვეჩინმა კავკასიის მთავარ-მართებლის თ. გოლიცინის ნებართვით წინადადება მისცა ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელს კოვალევს, რომ იგი ერთი თვით გაემგზავროს პეტერბურგს, მოსკოვს, ვარშავას, ოდესას და კიევს იმის შესასწავლად და გასაცნობად თუ ამ ქალაქებში საპოლიციო საქმე როგორ არის დაყენებული და მოწყობილი.

⁂ როგორც „ცნობ. ფურც." იუწყება, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების გამგე კომიტეტს სათავად-აზნაურო სკოლის მამულის „სვრის" გამგედ ბ-ნი ი. ზ. ცხვედაძე დაუნიშნავს ბ-ნ კავაზაძის მაგივრად, რომელსაც სამსახურისათვის თავი დაუნებებია.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სად. ძირულა, (შორაპნის მაზრა).** სამ კვირაზედ მეტია, რაც აქეთ და თითქმის მთელს იმერეთში თოვლი სოფლად აღარსად მოსჩანს და რადგანაც ქარი არა ჰქრის, ეს იანვარი მაისი გვგონია. ალაგ-ალაგ ტყემლის ხემ აყვავებაც იწყო და ხალხს გაზაფხულის მოახლოვების იმედი გაუღვიძა. მაგრამ მაგარი ისაა, რომ ათ იანვრიდგან მოულოდნელი დღემდის არა ჩვეულებრივი აღმოსავლეთის ქარი მძვინვარებს, რის გამოც მაღლობ ადგილებზედ გაშენებული სოფელი არ დარჩენილა, რომ ორი-სამი სახლი არ დაენგრიოს და პატრონს მისი სახურავი ტყეში საძებნელად არ გასდომოდეს. 13 იანვარს სოფ. ძირულაში ორ მოსახლეს სახლი თავზედ გადაანგრია და, კედლების ფიცრების გარდა, ნახევარ ვერსის სიახლოვეს ერთი ყავარიც აღარ უპოვნიათ. უბინაოდ დარჩენილნი იქვე ახლო მეზობლებს შეეხიზნენ და დღემდისაც ვეღარ მოუწყვიათ საკუთარი სახლ-კარი.

21 იანვარს ერთი უბედურება მოხდა აქ: სოფ. ღვერკის მცხოვრებს გლეხს თხელიძეს ღვინო გაუყიდნია და მყიდველს რკინის გზის სადგურამდის ჩატანასაც გაერიგებია. გამყიდველს მყიდველი უპურმარილოდ აღარ გაუშვია; პურ-მარილსაც ღვინის სმა მოჰყვა თურმე და კარგად შეზარხოშებულ მყიდველ-გამყიდველს დაუდვიათ ტიკები ურემზედ. სადამოზედ ჩამოვიდნენ და ღვინოები სად. ძირულის საწყობში დააწყეს, ეხლა მყიდველმა დაალოცვინა გამოყიდული ღვინო გამომყიდველს. აქაც გადაჰკრეს და სადამო ჟამზედ მაღლზედ შეზარხოშებულნი გლეხები ურემზედ ისხდნენ და ქეიფიანად მიერეკებოდნენ თავიანთ ხარებს შინისაკენ. მაგრამ უკანა ურემზე გლეხს თხელიძეს ბედმა უმუხთლა: კლდის ახლოს ურემი გადაუბრუნდა, ურმიდგან გადმოვარდნილმა შეზარხოშებულმა თხელიძემ ტანი ვეღარ შეიმაგრა, კლდეზედ გადმოვარდა კისრით და სული განუტევა. მაყურებლები მისცვივდნენ, აიღეს მკვდარი და იქვე დუქანში შეასვენეს, მაგრამ რადგან მედუქნე არ დასთანხმდა, მკვდარი გარედ გამოიტანეს, ჩალაში გაახვიეს, ურემზედ დასდეს ქუჩაში და ამ ყინვიან ღამეში ორი კაცი სდარაჯობდა. შეიტყო-რა პოლიციამ ეს ამბავი, მკვდარი ჭირისუფლებს აღარ დაანება მკურნალის გაუშინჯავად და რადგან მკურნალი შინ არ ყოფილიყო, მთელი ოთხი დღე ჭირისუფალნი ტირილ-ქვითინით დაჰყურებდნენ უსულო გვამს. 25 იანვარს მოვიდა მკურნალიც და მიცვალებული გასინჯა. ყველა დამსწრე საშინლად გააოცა შემდეგმა სანახაობამ: როდესაც მკურნალმა მიცვალებულს თავის ქალა ახადა, იქიდგან, როგორც ახლად ადუღებულ მაჭრის ქვევრიდგან, ისეთი აუტანელი ღვინის სუნი ამოვარდა, რომ იქ მყოფებმა ცხვირზედ ხელ-მოუჭერებლად სუნს ვერ გაუძლეს. მკურნალმა დასძინა, რომ გარდაცვალებული ძლიერ ღვინის მოყვარული ყოფილა და თავის ქალაში ღვინის სუნის დაგუბებაც მისი ბრალიაო. საბრალოს დარჩა მცირე-წლოვანი ქალ-ვაჟი და ცოლი ყოვლად უპატრონოდ და უმწეოდ.

იათოხი

## სასიამოვნო ამბავი

ვინ არ იცის რა სიმცირემდეა ჩვენში მიღწეული ბერ-მონაზონობის რიცხვი, როგორ დაცარიელდა და თითქმის უპატრონოდ დარჩა ჩვენი სახელოვანნი ბერთა სავანენი: ბერთუბანი, დოდის ლავრა, დავით-გარესჯა, იოანე ზედაძნელის სავანე, ქვაბთახევი, ვარძია, ზარზმა და სხვანი? ზოგიერთ ამ სავანეთაგანი, მაგალითად, ბერთუბანი, დოდოს ლავრა და ზარზმა სრულიად გაცივებულნი, ე. ი. უპატრონოდ დარჩენილია და მათი მიგნებაც-კი საძნელო გამხდარა, დანარჩენებში თავი შეუფარებიათ თითო ოროლას, რომლებიც უწევენ ამ სავანეებს უფრო მეთვალყურე, ანუ უბრალო დარაჯის სამსახურს, ვიდრე ნამდვილ-ბერისას.

ამ გულ-დამწვარ გარემოების გამო აღარ მოისმის ჩვენ მონასტრებში მადლიან კილოზედ საეკკლესიო წიგნების კითხვა, ანგელოზებრივი გალობა-ღაღადება, აღარ იწერება ბერთა მიერ სხვა-და-სხვა შინაარსის თხზულებანი საუცხოვო ქართულის ხელით, აღარავინ ვარჯიშობს საეკკლესიო მხატვრობაში და ვეღარავინ იძენს სამაგალითო მეურნეობის ცოდნას. მოისპო ყველაფერი ესე მონასტრებში, მაგრამ ეს კიდევ იმდენად სამწუხარო არ იქნებოდა, რომ მონასტრების ალაგი დაეჭირათ სამღვდლო ეკკლესიებს, ან სამღვდლო სასწავლებლებს, რომლებიც საკმარისად მრავლდება ყოველწლივ. აბა მოიარეთ მთლად ქართული ეკკლესიები, თუ სადმე დაესწრებით რიგიანის კითხვა-გალობით, გარდა იმ იშვიათის მაგალითისა, სადაც მღვდელსა და დიაკვანს შეუსწავლიათ ოდესმე საეკკლესიო წესი ისევ ძველ მონასტრებში? აბა ყური დაუგდეთ, რა ბუნდოვან, გაუგებარ და შელახულ ენაზედ ჰქადაგებენ ჩვენი სწავლა-მიღებული სულის მამები, რა უცნაურისა და უხერხულის კილოთი კითხულობენ წმიდა სახარებას და, გარდა ამისა, რა შეუხამებელ უცხო გემოვნებაზეა დღეს მოწყობილი ქართული საეკკლესიო მხატვრობაც-კი.

სწორედ ეს გარემოებაა, ვგონებ, სხვათა შორის, უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ დღეს ქართველი ერი თითქმის სრულიად აღარ დადის ეკკლესიებში წირვა-ლოცვის მოსასმენად და იგი ერი მეტად გაღარიბდა სარწმუნოებრივის სწავლა-ცოდნით, თუმცა-და როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ამ გვარ სწავლა-ცოდნის შესაძენად მრავალი სასწავლებელი არსდება თითქმის ყოველ წლივ ქალაქებსა და სოფლებში. დიაღ, დიდად საკეთილო და სასარგებლოა სასწავლებელი ხალხის ზნეობრივ აღსაზრდელად, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი სათაური მონასტერშია, მისი ცეცხლი მონასტრის კერიდამაა აღებული, მისი რძე გამომ-

---

ფერ-ნაცვალი არსებანი სცხოვრობენ, წინად ჩვენის მიწის მცხოვრებნი, რომლებსაც წარსული ახსოვთ, ჩვენი ბედ-იღბალი ეინტერესებათ. მარეხზედ ხშირად ვამჩნევდი ახირებულ სინათლეს, რომელიც მთაზედ ანთებულ საკირის სინათლეს წააგავდა. ეს იმათი ნიშანია-მეთქი, ვფიქრობდი, ბოლოს დავრწმუნდი კიდეც, რომ ეს მართლა ასეც იყო. იცით, რომ სამის დღის წინად გავმართე ამბის გადასაცემ-გადმოსაცემი უწინ ჩვენს მიწაზედ და შემდეგ მარეხზედ გადასახლებულთა შორის?! ისინი მიმიხვდნენ და მიპასუხეს.

მოგახსენეთ, რომ ბრმად ვერწმუნებოდი პატივცემულს მოხუცს და ყოველი მისი სიტყვა ჩემთვის ჭეშმარიტება იყო. ეს რომ გავიგონე, მეტის აღელვებისაგან შევხტი და წამოვიძახე:

— მასწავლებელო, დიდებულო მასწავლებელო!.. განცვიფრებული ვ... არ ვიცი რითი და როგო რ გამოვხატო ჩემი თქვენდამი თაყვანის ცემა!.. დიდება თქვენ!.. დიდება სამარადისოდ!.. მხოლოდ ეს არ მესმის, ასეთი სამაგალითო ღვაწლის შემდეგ რად ეძლევით დარდსა და მწუხარებას?.

მერრიკმა ღრმად ამოიოხრა და გაოფლიანებულ შუბლზედ ხელი გადისვა.

— შვილო, მარეხზე მცხოვრებნი —მაღალი, გაუკეთესებული არსებანი არიან... იმათ აღარა შერჩათ-რა ჩვენის სისუსტისა, ნაკლულოვანებისა და შეცდომებისა. მაგრამ რა სასყიდლის წყალობით? ახალ ქვეყანაში ისინი აღარ იბადებიან, იმათი ცხოვრება არის მხოლოდ განგრძობა... ისინი წინანდელი სახით არიან, მაგრამ გაცილებით უკეთესდებიან... იქ არ არის გაჩენა, გამრავლება და ამის გამო არც სიყვარულია!.. სქესიც კი არ არის!. სიყვარული უმთავრესი მიზეზია ყოველის ჩვენის უბედურობისა, ტანჯვისა და უთანხმოებისა, იმას მივყევართ ყოველ დღე მეტად თუ ნაკლებად დიდს დანაშაულობამდე. სიყვარული — ქმნილებაა სხეულისა და მხოლოდ სხეულისა. რაც გინდა ეცადნენ იმის გაკეთილშობილებას, პოეტები — ქებადიდებას, იგი მაინც დარჩება ცხოველურ ალღოდ, აუხსნელ, შექმნის სურვილად, გვარ-ტომის მფარველად და უბადრუკის ჯიშის გაგრძელებად. და აი ამიტომ იქ, ყოველისფრით დიდებულს პლანეტაში, სიყვარული არ არსებობს, როგორც არ არსებობს წარმოშობა. იქა სცხოვრობენ მხოლოდ ჭკუითა და სულით...

— მერე მანდ რა არის ცუდი? გავაწყვეტინე სიტყვა.

მოხუცი წამოხტა თავისის სავარძლიდგან და აკანკალებულის ხმით შესძახა:

— სულელი, სულელი!.. რა მიუხვედრელი ხარ... ერთი იფიქრეთ. ამ ქვეყნად მთელი ჩემი სიცოცხლე მეცნიერებათ შევსწირე იმ იმედით, რომ იქ ვიქნები დაჯილდოებული მეთქი მომავალ ცხოვრებაში. გარდავწყვიტე იქ დამესვენა, მეცხოვრა ჩემთვის! თქვენ სიამოვნებთ, რამდენადაც და როგორც შეგიძლიანთ, ყოველივე ქვეყნიური სიამოვნებით. მე კი? მე?.. მართალია სიყვარული ბოროტია, გარყვნილია, მაგრამ იმავე დროს იგი სასიამოვნოა, განმაცხოველებელია, ცხოველ-მყოფელია! აგრეთვე დედაკაციც! მე მათ მხოლოდ შორიდგან ვიცნობ, იმ ცბიერ ჯადოებს, მაგრამ ესეც საკმარისია, რომ ეჭვიც არ შევიტანო, რომ იმათი თვალები ჰგავს ჩემს ძვირფასს ვარსკვლავებს, ტუჩები — სამოთხის სურნელოვან ყვავილებს, რომელიც მომხიბლავი და თვალის წარმტაცია. იმათი ალერსი არ გამომიცდია!.. ამასთანავე გავიგე, რომ ამ ბედნიერების იმედი აქაც კი არ უნდა მქონდეს .. იმ პლანეტაზედ: სამოც და ათი წელიწადი კი შემისრულდა!. ო! დღესვე დაუფიქრებლად გავცვლიდი ჩემს მეცნიერებას თუნდა უბრალო მუშის ახალგაზდობაზედ, და ჩემ აღმოჩენას—ლამაზ, მოსიყვარულე ქალის ტიტინზედ. რა გამიკეთა ჩემმა ჭკუამ და ცოდნამ? იმათის წყალობით არ მიცხოვრია! ჩემი ყოფნა აქ ამ ქვეყნად მოტყუებაა, სიცრუე, შემზარავი საოცრებაა!

აი რის გამო ვქვითინებ ეხლა თქვენს წინაშე, მე ვტირი ჩემს სიცოცხლეს, ჩემს თავს. მე მამა-კაცი კი არა—აჩრდილი ვიყავი! მე არა მყვარებია!...

და მეცნიერი მოხუცი, რომელმაც ეს ეს იყო აღმოაჩინა ახალი ქვეყანა, ქვითინებდა როგორც ბავშვი, დასტიროდა თავისს სიცოცხლეს, რომელიც უალერსოდ გაეტარებინა!....

გ—რი

დანარებს მონასტრის ძუძუდგან. ამ აზრის სინამდვილეს უცილობელ ჰყოფს დიდებულის რუსეთის ერის სულიერ ცხოვრების მაგალითი. ასი ათასობით ამთავრებენ ყოველ წლივ რუსეთში სწავლას სხვა-და-სხვა სასწავლებლებში ქალნი და ვაჟნი, მაგრამ ამას მაინც არა ჰკმარობენ და შეუკავებელი ძალით მიისწრაფიან ყველანი სახელოვან მონასტრებში, კიევისა, სერგისა, ალექსანდრე ნეველისა და მრავალთა სხვათა ლავრებში. აქ, მონასტრებში, ეს აუარებელი ხალხი დიდის დაკვირვებითა და გულ-მოდგენით ისმენს ტაძარში გაწყობილს გალობას, საეკკლესიო წიგნთა კითხვის კილოს, უკვირდება საეკკლესიო წეს-რიგს და მხატვრობას, ღრმად იმარხავს ყველაფერს ამას გულში და როდესაც ბრუნდება თავისს საზოგადოებაში, სცდილობს გაგონილი და ნანახი უმეტნაკლებოდ განახორციელოს თავისს საკუთარ საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში, ე. ი. როგორც სამრევლო ეკკლესიაში, ისე სასწავლებელში შეაქვს იგივე მხატვრობა, იმნაირივე კითხვა და გალობა, როგორიც არის მიღებული უმთავრესს მონასტრებში. ასე, ამ გვარად მონასტრები რუსეთში წარმოადგენს ხალხის სარწმუნოებრივად განათლების უმთავრესს ხეს, ხოლო სამრევლო ეკკლესიები და სწავლებლები ამ ხის შტოებს. ჩვენ ში თვით ხეს გახმობია ძირი-ფესვები. იგი დაფუღუროებულ-დაყანდებულა და, ამისდა მიუხედავად, გვინდა, რომ მისი შტოები გავანედლ-გავაფურცლოვანოთ!

მეტად სასიამოვნო და სასიხარულოა ის გარემოება, რომ დღეს ჩვენში აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელთაც ზედმიწევნით შეგნებული აქვთ დიადი მნიშვნელობა მონასტრებისა ერის სულიერი განვითარებისთვის და ყოველ ღონისძიებას ხმარობენ მათის აღდგენა-წარმატებისათვის. ვინც ცოტად მაინც ახლო სდგას სასულიერო წოდებასთან, ცხადია, უთქმელადაც მიხვდება, რომ ამგვარი ბრძანდება დიდად პატივცემული ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, რომელსაც ერთი დღეც არ შეუძლიან ისე გაატაროს, რომ რამდენჯერმე არ ახსენოს სახელი შიომღვიმის მონასტრისა, რომლის განახლება-აღდგენას ანდომებს ყველაფერს, რაც კი სულს აქეთ აბადია. ა' ესავე გულმხურვალეობას და სასიქადულო მოწადინეობას იჩენს მონასტრულ ცხოვრების აღდგენისათვის მეორე პატივსადები ჩვენი ყოვლად სამღვდელო ლეონიდი და აი, დღეს თითქმის განახორციელა კიდეც თავისი მუდმივი აზრი. მ. მღვდელმთავარს გული ევსებოდა ხოლმე სევდით, როდესაც ჰხედავდა, რომ იმისთანა მონასტერში, როგორიც დავით გარეჯაა, სადაც მეჩვიდმეტე საუკუნეში შაჰ-აბაზმა აღდგომის ღამეს ამოსწყვიტა ექვსი ათასი ბერი, დღეს დარჩენილა მხოლოდ ორიოდ მღვდელ მონაზონი. მან ჩაისახა გულში ამ მონასტერში ბერთა ზოგადის ცხოვრების წესის შემოღება, რადგანაც ამ გვარის ცხოვრების წესი ერთის მხრივ ხელს უწყობს ბერების გამრავლებას, ხოლო მეორეს მხრივ სავალდებულოდ ჰყოფს წინამძღვრისთვის მუდამ კრებულში ცხოვრებას და თუ იგი, წინამძღვარი, თავიანი კაცია, უეჭველია, რიგიანად განაგებს ყოველ საქმეს. შტატის მონასტრებში-კი წინამძღვრები სცხოვრობენ მონასტერთ გარეშე, კრებული რჩება უხელმძღვანელოდ, რის გამოც მონასტრებში მოისპო ყოველი წესი და დამცირდა ბერობა. ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მიერ აღძრული მიწერ-მოწერა დამთავრდა, სინოდმა დაამტკიცა დავით გარესჯის უდაბნო ზოგად საცხოვრებელ მონასტრად; ათონის მთიდგან მოვიდა ოთხი საბერო ქართველი, მტკიცედ განსწავლულნი საეკკლესიო მსახურებასა და ბერულ წეს-რიგში; ესენი ამ დღეებში ხელდასმულ იქმნენ ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მიერ და უკვე გაემგზავრნენ ლეონიდთან ერთად დავით გარესჯის უდაბნოსკენ.

სრული იმედია, რომ ახლად მოსული მამები თავიანთის მოღვაწეობრივის ცხოვრების მაგალითით მიიზიდავენ მრავალთ, გაჰმართავენ მგალობელთა გუნდს, გაგვაგონებენ ჩვენს საკუთარს კილოზედ წიგნთა კითხვას, აღადგენენ ჩვენ ძველებურს საეკკლესიო მხატვრობას, სამაგალითოდ მოაწყობენ მონასტრის მრეწველობა-მეურნეობის საქმეს და ამ გვარად კვალად დაუბრუნებენ ამ უდაბნოს ქართველის ერის გულითადს სიყვარულს. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა, ვინც-კი ჩვენის ერის ერთგულია და ნამდვილად შესტკივა მისთვის გული, სასიხარულოდ მიიჩნევს ამ ამბავს.

სწორედ დღეს მოვალენი არიან შეუერთდნენ ამ ღირსს მამების დასს ის შეგნებულნი ქართველნი მღვდლები და მთავარ-დიაკვნები, რომლებიც მრავლად მოიპოვებიან საქართველოში და არ არიან დატვირთულნი წვრილ-შვილებით. ეს იქნება ამ ბერების ჭეშმარიტი ზნეობრივი დახმარება ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრით ქვრივი მღვდლები და მთავარ-დიაკვნები ამგვარი საქციელით დაამტკიცებენ, რომ მათ ჭეშმარიტად, და არა მხოლოდ ლითონის სიტყვით, უყვართ მშობელი ეკკლესია, ძვირფასად მიაჩნიათ ქართული გალობა მწიგნობრობა, გული შესტკივათ მშობლის ერის ზნეობრივ განვითარებისათვის, ერთი სიტყვით, საქმეთაგან თვისთა გვიჩვენებენ სარწმუნოებასა თვისსა.

წამალა წყაროელი

# თეატრის მატიანე

„ყაჩაღები“, ტრაგედ. 5 მოქმ. შილლერისა

ხუთშაბათს, 3 თებერვალს, ქართულის დრამატიულის დასის მიერ ბ-ნ სვიმონიძის საბენეფისოდ წარმოდგენილმა ტრაგედიამ „ყაჩაღებმა“ საზოგადოდ სუსტად ჩაიარა. ეს პიესა ჩვენს სცენაზედ გაცილებით უფრო კარგად გვინახავს წარმოდგენილი. ამ საღამოს პიესის კარგად წარმოდგენას ხელს უშლიდა უანსამბლობა, არტისტების მიერ როლების უცოდინარობა და მათი სრული მოუმზადებლობა. კერძოდ ბ-ნმა ალექსი მესხიშვილმა ფრანც მოორის როლი კარგად წარმოადგინა, თუმცა რაღაც უგუნებობა ზოგიერთ მოქმედებაში იმასაც ეტყობოდა. წინანდელთან შედარებით ეხლა ბ-ნი მესხიშვილი უფრო სუსტი იყო უკანასკნელ მოქმედებაში, ეტყობოდა, რომ მოიქანცა და მოიღალა. სამაგიეროდ საუცხოვოდ ჩაატარა ბ-ნმა მესხიშვილმა ის სცენა, სადაც ფრანც მოორი მამის სიკვდილით გახარებული გამოვარდება და გულის-შემზარავს მონოლოგს ამბობს.

ბ-ნმა კ. ყიფიანმა უნაკლულოდ წარმოადგინა თავისი როლი. თვით მობენეფისეს ბ-ნ სვიმონიძეს არა უშავდა რა უკანასკნელ მოქმედებებში, სამაგიეროდ ვერაფრად დაგვიხატა მან პირველ მოქმედების მეორე სურათში სულიერი ტანჯვა კარლოს მოორისა. ბ-ნი სვიმონიძე ამ სურათში მხოლოდ იმასა სცდილობდა, რომ რაც შეიძლება ხმა-მაღლა და ჩქარა წარმოეთქვა თავისი სიტყვები და სხვას არაფერს დაგიდევდა. ეს ადგილი თავის-თავადაც ძნელი წარმოსადგენია, არტისტისაგან დიდს ნიჭს, დაკვირვებასა და ცოდნას თხოულობს. ყველა ამის გარდა არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ ბ-ნ სვიმონიძეს პიესის დამახინჯებაც. ხშირად იგი იმას ამბობდა, რაც პიესაში სულ არა სწერია. შეუწყნარებელია არტისტის ასეთი საქციელი უფრო მაშინ, როდესაც ისეთ კლასიკურ პიესებს ადგენენ, როგორიც შექსპირისა და შილლერის პიესებია. სხვათა შორის წარსულ წარმოდგენაზედ ბ-ნმა სვიმონიძემ ასეთი წინადადებაც წამოიძახა: „იმას ლეშს მოვკლავ და შემდეგ დავმარხავო“.

ქ-ნმა კარგარეთელმა უსიცოცხლოდ წარმოადგინა თავისი როლი. ამ არტისტმა ქალმა ვერ დაგვისახა ის სულიერი ტანჯვა-წვალება, რომელსაც ამალია ფონ-ედელრეიხი კარლოსის დაკარგვისა და შეუბრალებელ ფრანცის გაბატონების შემდეგ უნდა ჰგრძნობდეს, იმ ფრანცისა, რომელიც ამალიას საშინლად სძულს და ეზიზღება. ქ-ნი კარგარეთელი უფრო უზრუნველ და უდარდელ სეფე ქალსა ჰგავდა, ვიდრე ათასის მწუხარებით სავსე ადამიანს. არც როლი იცოდა კარგად ქ-ნმა კარგარეთელმა. არ იცოდა, მაგალითად, როგორ უნდა მოქცეულიყო იქ, როდესაც კარლოსის სურათს უყურებს და ამბობს: „აქა და მანდ სულ სხვა და სხვაა“-ო. ეს სიტყვები ისე იყო ნათქვამი, რომ საზოგადოებამ ვერც-კი გაიგო, რას ნიშნავდა.

ბ-ნთ გედევანოვმა და შათირიშვილმა, როგორც ყოველთვის, ამ საღამოთიც კარგად წარმოადგინეს თავიანთი როლები. უცხოდ გაგვითვალისწინა ბ-ნმა შათირიშვილმა კარლ მოორის მარჯვენა ხელი და საუკეთესო ამხანაგი შვეიცერი. ასევე კარგი იყო ბ-ნი გედევანოვი პატრის როლში. გვარიანად წარმოადგინა ამ არტისტმა მოხუცის დანიელის როლიც.

რაც შეეხება დანარჩენ არტისტებს და აგრეთვე სტატისტებს, არც ერთი მათგანი არ ვარგოდა. ბ-ნ საფაროვს, მაგალითად, ყოველს მოქმედებაში ორ-ორი სიტყვა უნდა ეთქვა და ისიც ვერ მოახერხა. ბ-ნ ჭელიძის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ იგი კარგად წარმოადგენდა, როლი რომ კარგად დაესწავლა და საზოგადოდ მომზადებულიყო. ბ-ნი ჭელიძე ჩვენის სცენისთვის სასარგებლო არტისტი დადგება, თუ იმეცადინებს და გულის-ყურს დაუდებს.

წარმოდგენას, როგორც ყოველთვის, როდესაც ბ-ნი მესხიშვილი იღებს მონაწილეობას, ხალხი ბლომად დაესწრო. მობენეფისეს ბევრი საჩუქრები მიართვეს.

შემდეგი წარმოდგენა, კ. შათირიშვილის საბენეფისოდ, ხვალ 6 თებერვალს იქნება. წარმოადგენენ, ბ-ნ მესხიშვილის მონაწილეობით, შექსპირის ტრაგედიას „ოტელლოს“.

მოყვთე

## სასამართლოს მატიანე

სამთო ინჟენერის ი. ი. ზენკოვის საქმე.

გუშინ, 4 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლომ ვინიხილა საქმე სამთო ინჟენერის ივანე იაკობის ძის ზენკოვისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ იბრაგიმ-ბეგ მურადოვის მოკვლა განიზრახა და ორჯელ რევოლვერი ესროლა. სასამართლოში თავმჯდომარეობდა ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ბ-ნი მ. მ. შარიგინი, წევრებად იყვნენ: ა. გ. რიბინი და საპატიო მოსამართლე ვ. გ. ბუტირკინი. ბრალსა სდებდა ბრალმდებლის ამხანაგი ბ-ნი ვორონოვი, ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ე. მ. ტურკევიჩი. ამ საქმის გამო 18 მოწმე იყო დაბარებული, რომელთ შორის 3 არ გამოცხადდა.

ვითარება ამ საყურადღებო საქმისა შემდეგია: შარშან, 1899 წელს, 22 იანვარს, ქართულის თეატრის სასტუმროში, ღამის პირველს საათზედ, სცენაზედ ქ-ნმა ბოტესმა იმღერა „ნიკო, ნიკო“ ქართულად. ამ სიმღერას ყველანი აღტაცებით მიეგებნენ და სთხოვდნენ მომღერალს ტაშის ცემით „ისა“ ემღერა. სხვები რომ „ისა“ ს გაიძახოდნენ, ერთი სამთო ინჟენერი ივანე იაკობის ძე ზენკოვი, რომელიც ნასვამი იყო და რომელსაც თან ჰყავდა ნასვამივე სამსახურს გარეშე მყოფი კაპიტანი ნედოლსვიატი და აგრეთვე ვიღაც ქალი ნინო ცომაია, ჰყვიროდა „ешаки“, „ешаки!“, ვითომ „ვირებო, ვირებოო!“ ეს ბევრმა გაიგონა, იწყინა, მაგრამ გაუჩუმდნენ. ბოლოს ყური მოჰკრა იქვე მეორე მაგიდასთან მჯდომმა კორნეტმა იბრაჰიმ-ბეგ მურადოვმა, რომელიც თავისს ძმასთან სულთან-მექი-ბეგ მურადოვთანა და ერთ ნაცნობთან ერთად ვახშამსა სჭამდა, და შეეკითხა: „ვის ეძახით ვირებსაო?!“ ზენკოვმა არც წაიღო, არც წამოიღო და უპასუხა: „შენც ვირი ხარო“ და მიიწია: „ცხვირპირს დაგალეწავო!“. იბრაჰიმ-ბეგ მურადოვი წამოხტა და ხელის კვრით განზედ გააყენა. ამასობაში შუაში ჩაცვივდნენ ზენკოვთან მყოფი სამსახურს გარეშე მყოფი კაპიტანი ნედოლსვიატი და ნინო ცომაია. უცებ გაისმა ქალის ხმა: „მიშველეთ, რევოლვერს იღებსო!“ მართლაც ზენკოვმა პალტოს გარეთ მარჯვენა ჯიბიდგან დიდი რევოლვერი ამოიღო. ქალის სიტყვების გაგონებაზედ მურადოვის ძმამაც ხანჯალი იშიშვლა. გაისმა რევოლვერის ხმა ორჯელ და ხანჯალიც აპრიალდა ჰაერში. ხალხი აირია. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ერთი ტყვია კაპიტანს ნედოლსვიატის მოხვედროდა მარცხენა მაჯაში, ხოლო მეორე ტყვია ყველას ასცდენოდა და იქვე მეხუთე მაგიდასთან მჯდომ ქალისათვის კორსეტსა და ხორცს შუა გაევლო, თუმცა არა ევნო რა-კი. რაც შეეხება თვით ზენკოვს, იმისათვის იბრაგიმ-ბეგ მურადოვის ძმას მარცხენა მკლავი დაეჭრა მხართან, მხრის რბილი ადგილი ორ გოჯამდე ჰქონდა ზენკოვს ჩაჭრილი. დაჭრილები საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

აი, ამ რიგად გვქონდა ეს ამბავი მოთხრობილი ჩვენის გაზეთის წარსულ წლის მე-17 №-ში და ამ რიგადვე გამოირკვა სასამართლოშიაც, თუმცა ზოგიერთი მოწმენი სცდილობდნენ ზენკოვის სასარგებლოდ შეესუსტებინათ თავისი ჩვენება.

ბრალდებულის დამცველი ე. მ. ტურკევიჩი სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ჯერ სულთან-მეჯი-ბეგ მურადოვმა დასჭრა ხანჯლით ზენკოვი და ბრალდებულმა მერე გაისროლა ორჯერ რევოლვერი, იგი თავს იცავდა და არავისი მოკვლა არა ჰქონია განზრახვადაო. დანარჩენს წვრილმანში დამცველი ეთანხმებოდა, საბრალმდებლო ოქმს.

სასამართლომ, ჩვენება ჩამოართვარა ფიცით ყველა მოწმეს, საღამოს $3^1/_2$ საათზედ, ნახევარ საათის თათბირის შემდეგ, დაადგინა განაჩენი, რომლითაც, დამნაშავედ იცნო რა სამთო ინჟენერი ივანე იაკობის ძე ზენკოვი, რომ გაჯავრებისა და გამწვავების დროს ზენკოვს იბრაგიმ-ბეგ მურადოვის მოკვლა ჰქონდა განზრახული და ამ განზრახვით გაისროლა რევოლვერიო, გარდაუწყვიტა ყოველისავე პირად და განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და ციმბირში, სახელდობრ ტომსკის გუბერნიაში, გაგზავნა საცხოვრებლად.

ბრალდებული ვექილის თხოვნით, თავდებობით თავისუფლად იქმნა დატოვებული.

## დამაკვირდი

რომ ყველას სასიამოვნო და შეაყვარო თავი, მასხარა უნდა იყო.

ს. ყ—ნი

* * *

მგლური ხელის გაკვრა საზრახია, მთესვარსავ ხელის გაკვრა საქებარია, ხოლო სამშობლოს დასაცველად ხელის გაკვრა-კი სასახელოა და სა-გაშაგამშა.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ამერიკაში ერთმა ქალმა, ვინმე ვან გორნმა, რომელიც ეს რამდენიმე კვირაა საავადმყოფოში გარდაიცვალა, გამოუცხადა სიკვდილის წინ მკურნალს, რომ ჩემი დედამთილი, ჩემი ქმრის დედა, მე მოვკალიო. ეს მკვლელობა კი ჩემს ქმარს დააბრალესო. როგორც შეკრებილ ცნობებიდგან აღმოჩნდა, 1880 წელს მართლაც მოუკლავთ ქ-ნი ეგანი; ეჭვი შვილზედ ტომას ეგანზედ მიუტანიათ. სასამართლოს, განუხილავს რა ეს საქმე, ეგანი დამნაშავედ უცვნია და ჩამოხრჩობა გადაუწყეტია იმისთვის. ორის დღის შემდეგ ტომას ეგანი ჩამოუხრჩვიათ კიდეც. და აი ეხლა, მხოლოდ ოცის წლის შემდეგ, გამოაშკარავდა ნამდვილი მკვლელი. მკურნალმა, ვისაც ქ-ნი ვან გორნი გამოუტყდა, მაშინვე შეატყობინა ეს ამბავი ტომას ეგანის ნათესავებს და პოლიციას.

* * *

პარიჟის გამოფენის დროს, როგორც გაზეთები ამბობენ, დიდ ყურადღებას, სხვათა შორის, თავისს არქიტექტურით, მოწყობილობით, სიმდიდრით და სიდიადით „ქალთა სასახლე“ მიიქცევს. ეს სასახლე შესანიშნავის არქიტექტორის პონტრომოლის ხელმძღვანელობით არის აგებული. აშენებულია იგი საუცხოვო ადგილას, ეიფელის კოშკის და იენის ხიდის შუა. გამოფენის დროს სასახლის დათვალიერება ყველას შეეძლება. ოთახები და დარბაზები საუცხოვოდ არის თურმე მორთული. ამ დარბაზში ისეთი ნივთები იქმნება გამოფენილი, რომელიც ქალებს აინტერესებს, როგორც, მაგალითად, სხვა და სხვა ნაირი ტანისამოსი, შინაური ავეჯეულობა, მორთვისა და

სხვა. პირველ სართულში გამართული იქმნება დიდი სცენა წარმოდგენებისა, კონცერტებისა და ცოცხალი სურათებისათვის. აქვე წაიკითხავენ სხვა და სხვა სახელმწიფოებიდგან მოწვეული ქალები თავიანთ საყურადღებო მოხსენებებს და ნაწარმოებებს. საზოგადოდ ყველა ის, რაც ეგრეთ წოდებულ ქალთა კითხვას შეეხება, ამ სასახლეში იქმნება მოთავსებული. ამას გარდა სასახლეშივე იქმნება გამართული საუცხოვო რესტორანი ქალებისათვის.

* * *

მეტად უცნაური მკითხველები ჰყოლია ესტონურ გაზეთებს. მკითხველები მოსვენებას არ აძლევენ თურმე რედაქციას და ათას საქმის შესრულებას ავალებენ. აი, მაგალითად, რასა სწერს გაზ. „ესტი პოსტიმესი“: „ჩვენ ძალიან ხშირად შემოგვიკვეთავენ ხოლმე მკითხველნი უყიდოთ ყავა, ჩაი, საპონი, საშარვლე, კორსეტი, ველოსიპედი, ჩითები კაბებისთვის და მრავალ კიდევ სხვა რამეს; წარმოიდგინეთ ჩვენი გაჭირვება, ყველა ეს უნდა ვიყიდოთ იაფად და გავუგზავნოთ კიდეც. ამ დღეებში ერთმა ახალგაზდა კაცმა ვეზენბერგული ჩიბუხი შემოგვიკვეთა; ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ვერსად ვიშოვნეთ. როდესაც ეს ამბავი შევატყობინეთ, მოგვწერა, საცა გინდათ იქ მიშოვნეთ ეგ ჩიბუხი და გამომიგზავნეთო, თორემ გაზეთს აღარ გამოვიწერავო. ეს კიდევ არაფერი, უფრო ძნელი შესასრულებელია ერთი კაცის დავალება, რომელიც გვთხოვს, ერთის ან ორის წლის ლამაზი გოგო მიშოვეთ და გამომიგზავნეთ, ჩემი ცოლი ძალიან მოწყენილია და გოგო იმის გასართობად მინდაო. თუ ამ თხოვნას არ ამისრულებთ, მომავალ წელს გაზეთს აღარ გამოვიწერავო. მეორე მკითხველი გვთხოვს ვასწავლოთ როგორ განქორწინდეს თავისს მეუღლეს. ეს კაცი გვწერს, ბიძა მთელ თავის ქონებას მპირდება, თუ იმის მიერ არჩეულ ერთ ბებერ ქალს შევირთავო, ამიტომ შემატყობინეთ, როგორ და რა წესით შემიძლიან განვშორდე და განვქორწინდე ახლანდელ მეუღლესაო. აი ასეთ საქმეებს ავალებენ ხელის მომწერნი რედაქციას“.

## დიდუბის მდგომარეობა და პასუხი ბ-ნს მდგმურს

არა ერთხელ დაგვისურათებია დიდუბის გაჭირვებული მდგომარეობა უგზო-უკვლობისა გამო, მაგრამ არ იქმნა ვერ დავიმსახურეთ ყურადღება და პატრონობა ჩვენის თვით-მართველობის მხრივ. დღემდის იმითი მაინც ვიყავით ბედნიერნი, რომ თანაგვიგრძნობდნენ ყველანი, გარდა ტფილისის თვით-მართველობისა, მაგრამ დახეთ უბედურებას! გადაგვიდგა ერთი დიდუბელ მდგმურთაგანი და „მდგმურის“ სახელით „ტფილისის ფურცელში“ დაუწყო დიდუბის სახლის პატრონებს ნიშნის მოგება, კიცხვა და დარიგება, და თანაც ტფილისის თვით-მმართველობას წაესარჩლა.

ბ-ნი „მდგმური“ 21 იანვრის „ტფილისის ფურცელში“ ამბობს: „დიდუბის სახლის პატრონებმა იაფად ნაყიდ ადგილებზედ გააშენეს ორ-სართულიანი სახლები, რომ მდგმურებისაგან გამდიდრებულიყვნენ, მაგრამ მათი სახლები ცარიელდება და მდგმურები გარბიან. ყოვლად შეუძლებელიც არის დიდუბეში დგომა, რადგან ერთს აღლზედ ტალახია და ცარიელი ეტლებიცკი იფლობა შიგაო. ახია სახლის პატრონებზედ, რომ ცარიელი უურიათ სახლები და სარგებლობის მაგიერ ჰზარალობენ, რატომ იმ თავითვე არ მოჰკირწყლეს ქუჩები და სახლები შემდეგ არ ააშენეს. სახლის პატრონებმა კარგად იციან, რომ ქუჩების მოკირწყვლა მათი მოვალეობაა და არა თვით-მართველობისაო“...

როგორ მოგწონთ ეს უცნაური ვექილობა?.. მშვენიერია, მაგრამ ჩვენ არა გვგონია, რომ ეს ვექილი-„მდგმური“ დიდუბეში იდგეს, და არა „ტფილისის ფურცლის“ მეზობლად. დიახ, მართლაც დიდი ტალახია დიდუბეში, მაგრამ ეს ახალი ამბავი არ არის, ყველასათვის ძველია. არც ის არის ახალი, რომ დიდუბელი სახლის პატრონები იმდენს ქირასაც ვერ იღებდნენ უგზოობისა გამო, მეტადრე ზამთარში, რომ საქალაქო გარდასახადი გარდაიხადონ. რაც შეეხება ბანკის ვალს, ეს ხომ არავის არ შეეხება, გარდა თქვენგან განკიცხულ და ნიშნ მოგებულ სახლის პატრონებისა. საკვირველია, ეს ვექილი-„მდგმური“ რატომ იმის შესახებ არაფერს ამბობს, რომ მთელი კვირაობით უწყლოდ ვართ ხოლმე და წრეულს თოვლს ვადნობდით და იმით მივდიოდით იოლად. არა ერთხელ შეგვიჩივლია გამგეობისათვის გაზეთების საშუალებით, რომ მთელს დიდუბეში ერთად-ერთი წყლის ონკანია და იქაც-კი არ არის გარშემო მოკირწყლულიო, მაგრამ არა გამოვიდა რა. განაპირას მცხოვრებნი ხომ მთელის კვირაობით სხედან უწყლოდ, რადგან ქუჩებში იფლობიან საბრალო ცხენები ბოჭკებით; ვისაც-კი ეღირსება წყალი, ვედრო თითქმის შაური უჯდება. რამდენჯერ შეუტანიათ დიდუბელ სახლის პატრონებს ქალაქის გამგეობაში თხოვნა, რომ მოგვიკირწყლეთ ქუჩები და გადაგვახდევინეთ, ვისაც რა შეგვხვდებაო, მაგრამ ჩვენი თხოვნა დარჩენილა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“.

აგერ სამი წელიწადი სრულდება, რაც შერემეტიევის ქუჩის სახლის პატრონებმა შეიტანეს თითქმის მესამედი ხარჯი იმისა, რაც დაჯდება ქუჩის მოკირწყვლა და ამასთანავე პირობაც დასდეს, რომ დაიწყებთ თუ არა მუშაობას, დანარჩენსაც წარმოვადგენთო, მაგრამ არა გამოვიდა რა. ნუ თუ ეს არ იცით ბ-ნო „მდგმურო“, ან იცით და არას ამბობთ?

ვთქვათ, სახლის პატრონებს არ უნდა აეშენებინათ სახლები, ვიდრე ქუჩები არ მოიკირწყლებოდა. მერე ვინ დაუმტკიცა მათ გეგმა და ვინ მისცა ნებართვა აშენებისა? ტფილისის გამგეობამ და თან დამფასებლები დაადევნა საჩქაროდ, რომ შემოსავალი არ დაჰკლებოდა. რაღად მისცა ნება აშენებისა? განა იმისთვის, რომ შემოსავალი მეტი ჰქონოდა, ხოლო მზრუნველობა კი არ გაეწია!?

ბ-ნ „მდგურს“, უთუოდ გაუგონია, რომ სადღაც არის ისეთი ქალაქები, სადაც ვიდრე ქუჩა არ მოიკირწყლება, სახლებს არ ააშენებენ, მაგრამ ის-კი დავიწყებია, რომ იქ თვითმმართველობავე ჰკისრულობს მოკირწყვლის ხარჯს და შემდეგ აძლევს ნებას სახლების აშენებისას.

დავეთანხმოთ ბ-ნს „მდგმურს“, რომ სახლის პატრონების ვალია: ქუჩების მოკირწყვლა, დაგვა და განათება. მერე თვით მმართველობამ რაღა უნდა გააკეთოს? რაღად უნდა ერქვას თვით-მმართველობა, თუ არ იზრუნებს მცხოვრებლებისათვის? ნუ თუ იმისთვის, ბ-ნო „მდგმურო“, რომ სახლის პატრონებს, მეეტლეებს, ძროხების პატრონთ გააწეროს ხარჯი, ხოლო გაკეთებით კი არა გააკეთონ რა?

არსად მინახავს ისეთი მოურავი, რომ ჯამაგირი იღოს და მამულს თვითვე პატრონი უვლიდეს.

თუ დღეს, ბ-ნ „მდგმურის“ აზრით, ასეთი მოურავი ტფილისის თვით-მმართველობაა, დიდად შემცდარია, ტფილისის გამგეობამ და საბჭომ დიდი ხანი არ იქნის, რაც თავიანთი თავი მოვალედ სცნეს ქუჩები მოჰკირწყლონ, და იმედია, დღეს თუ არა, ხვალ მაინც დიდუბელებისა და სხვა უბნების სახლის პატრონების იმედი განხორციელდება.

ს დიდუბელი

## გამოსადეგი ცნობა

თუ კბილის ტკივილმა შეგაწუხათ, კბილის ფუღუროში ქაფურის ნატეხი ჩაიდეთ და იმ წამსვე დაგიყუჩებთ ტკივილს. ამასაც რომ არ გიშველოთ, თითი ჩაასველეთ ქაფურის სპირტში და ღრძილზედ წაისვით.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 თებერვალი

**პარიჟი.** რუვიე, ფინანსთა მინისტრად ყოფილი, საშიშოდ არის ავად. დღეს, ღამე, საოცარი ქარიშხალი ამოვარდა, რომელმაც ძალიან დააზიანა გზები და ტელეგრაფები.

**რანგუნი.** ბირმან-ჩინეთის მოსაზღვრე კომისიის წევრი სკოტტი იუწყება, რომ ამ კომისიის ორი წევრი კეილლი და სუდერლენდი მოკლულ იქმნენ უანგეში, ხოლო ინგლისის ელჩი—სუმაში, ლეიტონი კიდევ, რომელიც აგრეთვე კომისიას ეკუთვნოდა, დაჭრილ იქმნაო. ეხლა მე ჩინეთის გენერალ ლიუსთან მოლაპარაკება მაქვს იმის შესახებ, რომ დამნაშავენი დასჯილ იქმნენო.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება, რომ პოლკოვნიკ განნეის მდ. ორანჟეზედ გადასვლის დროს შეტაკება ჰქონდა ბურების მცირე რაზმთან, რომელსაც მარჯვენა მხარეს გორაკები ეჭირა. განნეიმ თავის ჯარის ერთის ნაწილით შეიმაგრა მტერი, ვიდრე დანარჩენი ჯარი მდინარეს გადავიდოდა. ინგლისელებს მოუკლეს 4 კაცი, დაუჭრეს 22 და ტყვედ წაიყვანეს 13.

31 იანვარს საკავალერიო დივიზიამ, ფრენჩის უფროსობით, მოახერხა დეკილსდრიფტთან მდინარე რიტზედ გადასვლა, რომლის მარჯვენა ნაპირზედაც უკვე სდგანან მე-6 და 7 დივიზიები. ინგლისელებს მოუკლეს ერთი აფიცერი და ორი ჯარის-კაცი, დაუჭრეს ერთი ჯარის-კაცი.

რენსბურგში მყოფის ჯარის უფროსი იუწყება, რომ 31 იანვარს ბურები დაეცნენ ჩემს ბანაკსაო. მოკლულ იქმნა ერთი პორუჩიკი. დანარჩენ მოკლულთა და დაჭრილთა შესახებ ცნობა შემდეგ იქმნება გამოგზავნილი.

მეფკინგიდგან იუწყებიან: „აქ მშვიდობიანობაა. ბურები ქალაქს ესვრიან ზარბაზნებს, მაგრამ ვერაფერს ვნებას ვერ აყენებენ“.

**ბაბერონეისი.** 21 იანვარს ინგლისელებმა იმ ადგილისკენ, სადაც ბურები იყვნენ, რეკოგნოსციროვკა მოახდინეს და გაიგეს, რომ ამ პოზიციაზედ სულ 500 კაცია. ზარბაზნების სროლა განუწყვეტელია.

22 იანვარი. ინგლისელებმა დღეს ყუმბარა მოარტყეს მტრის სიმაგრეს. ჰფიქრობენ, რომ ამ ყუმბარამ დიდი ზარალი მიაყენა ბურებს, რადგანაც მათ სროლას თავი მიანებეს.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება დეკილსდრიფტიდგან, რომ ფრენჩმა ძალით აიღო მდ. მოდდერზედ გადასასვლელი ადგილი კლიპდრიფტთან, დაიჭირა ჩრდილოეთით მდებარე გორაკები და ხელთ ჩაიგდო სამი ბანაკი ბურებისა. საოცარი სიცხე და მტვერია. მეექვსე დივიზია მდ. რიტის აყოლებით მიდის. მეშვიდე დივიზია კიდევ ჯერ აქ არის და სადამოთი გავა აქედგან.

**ლონდონი.** 1 თებერვალს ჩიველის ბანაკიდგან ბულლერი დეპეშით იუწყება, რომ სპრინგფილდთან მოხდა დიდი ბრძოლაო. დრაგუნთა პირველ რაზმის ესკადრონი წააწყდა ბურების ჯარს. ბურებმა პირველებმა მიასწრეს გორაკს და იქიდგან დაუშინეს ზარბაზნები ესკადრონს, რომელიც იძულებული შეიქნა უკან დაწეულიყო, მაგრამ როცა ესკადრონს სხვა ჯარიც მიეშველა, ბურებმა უკან დაიწიეს. ერთი აფიცერი და ხუთი ჯარის კაცი დაიჭრა; ერთი პორუჩიკი და 6 ჯარის-კაცი ტყვედ წაიყვანეს ბურებმა. შემდეგ ბულლერი იუწყება, რომ დენდონალდის ჯარიდგან 700 ცხენოსანმა, ერთმა ბატარეამ და ერთმა ქვეითა ჯარის ბატალიონმა რეკოგნოსციროვკა მოახდინეს. როდესაც ეს რაზმი უკან დაბრუნდა, ბურებმა ზარბაზნების სროლა ასტეხეს და დასჭრეს 6 კაცი.

## წერილი რედაქციის მიმართ

დიდს მადლობას ვუძღვნით იმათ, ვინც სეტყვით დაზარალებულ ქართლელებისთვის ფული შემოსწირა, აი შემომწირველთა სია: უ. თ. გრ. დადიანი 10 მ., პ. სურგულაძე 1 მ., ა. კლდიაშვილი 1 მ., ი. ჯაიანი 2 მ., მ. ბაქრაძე 1 მ., მ. პარცხვანიძე 20 კ., დ. მდივანი 1 მ., ნაზაროვი 1 მ., მ. ლაგიძე 50 კ., გოკიელოვი 50 კ., კოკოცევი 20 კაპ., ი. გვეტაძე 20 კაპ., ნ. ივანიძე 5 კაპ., ი. ხელიძე 50 კაპ., გ. ზერძენი 20 კაპ., ი. კილაძე 50 კ., ე. ხოშტარია 20 კ., დ. ღოღობერიძე 5 კაპ., ა. შარაშიძე 20 კაპ., გ. გაბედავა 10 კ., ი. გაბალაძე 5 კ., მ. ფხაკაძე 10 კ., მ. აგვაგანოვი 10 კ., გელატელი 5 კ., გ. ბარამიძე 15 კ., ფ. ეხსანოვი 50 კ., გ. ციცაძე 20 კაპ., გ. გორგაძე 25 კაპ., პ. მაჭავარიანი 20 კაპ., ა ეკვერაძე 20 კაპ., ი. კვერნაძე 5 კაპ., ს. წერეთელი 50 კაპ., ს. აბაშიძე 5 კ., ს. შავგულიძე 5 კ., ი. გრიგოლაძე 15 კაპ., ი. გრიგოლაძე 15 კაპ., კ. შენგელია 50 კ., ა. ნიჟარაძე 50 კაპ., თ. თუმანოვი 10 კაპ., დ. ნოდია 1 მ., ნ, მრევინა 50 კაპ. პ. გამყრელიძე 50 კ., მ. ხლებნიკოვი 20 კ., კ. ყიფიანი 50 კ., მ. ჩიკვაიძე 30 კ., წერეთელი 20 კ., პ. გორდეზიანი 20 კ., ვ. გძელიშვილი 20 კაპ., ნ. ერისტოვი 50 კ., დ. ზურაბოვი 35 კ., მ. გოცერიძე 20 კ., ვ. ჯორჯანოვი 50 კ., დ. გოცირიძე 30 კ., კ. წულუკიძე 50 კ., მ. ჯაფარიძე 20 კ., ხუნდაძე 1 მანეთი, ვ. მდივანი 50 კ., ს. ავალიანი 50 კ., ა. იაკუბოვიჩი 1 მან., ი. ხმალაძე 50 კ., ვ. თუმანიშვილი 50 კ., ე. ნათაძე 20 კ., თავართქილაძე 40 კ., ბიბილევი 50 კ., სიამაშვილი 10 კ., მ. ურუპიძე 20 კ, ვ. ჭყონია 20 კ., სიამაშვილი 20 კ., ე. გურიელი 1 მ. 50 კაპ., ვაშაკიძე 50 კ., აბაშიძე 20 კაპ.

ეს ფული დათიკო მუსხელაშვილს და ვასილ მუსხელაშვილის ქვრივს გადაეცა.

ნინო მუსხელაშვილისა


## განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ამა 1900 წელს თებერვლისა და მარტის ქვემოთ აღნიშნულ რიცხვებში დანიშნულია ბანკის სადგომში ქალაქ ქუთაისს ვაჭრობა ბანკში დაგირავებულ უძრავთა-ქონებათა, რომელნიც დარჩენილია ბანკის საკუთრებად, ამ რიგით: 1) ქალაქისა და ქუთაისის მაზრის მამულები 29 თებერვალს; 2) შორაპნისა, რაჭის და ლეჩხუმის მაზრებისა—1 მარტს; 3) ოზურგეთის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებისა—2 მარტს.

დაწვრილებითი პირობები ვაჭრობისა და საქმეები გასასყიდელთა მამულთა მსურველებს შეუძლიანთ გასინჯონ ბანკის კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა.

(1—6.—1)

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას მოუვიდა გასასყიდად სხვადასხვა ჯიშის ნამყნობი ხეები:

ვაშლისა, მსხლისა, ატმისა, ალუბლისა და ბალისა ბელაქანში გამართულ ჰაჯი-იზმაილ ოღლის სანერგედგან. ჰაჯი-იზმაილ-ოღლის ბაღის ხილის ნიმუშები გამოფენილია სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბიუროში.

(2—6.—1)

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1900 წლის 4 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ გამგეობის თანადასწრებით

### მოხდება საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაცემული იქმნება ქალაქის საყასბოების შეკეთების საქმე: ხის სვეტები ქვის სვეტებით უნდა შეიცვალოს, შეკეთდეს და განახლდეს ხის კედლები, მოიკირწყლოს ეზო და ხის კედლებზედ ცინკი იქმნას გაკრული. სამუშაო სულ 3385 მანეთისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გასინჯონ ყოველ დღე 9-დგან 2 საათზედ, კვირა-უქმეების გარდა.

(3—6.—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ამა 1900 წლის 4 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით მოხდება

### საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა ანდრეევის ქუჩის ხელ-ახლა მოკირწყვლის საქმე. ეს ქუჩა უნდა მოიკირწყლოს რკინის გზის სადგომიდგან ტფილისის დამრენამდე, სულ 985 ოთხკუთხი საჟენი ადგილი; სამუშაო 3040 მანეთისაა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გასინჯონ ყოველ დღე 9-დგან 2 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა.

(3—6—3)

მიიღება ხელის-მოწერა

რუსულ-ქართულ ენციკლოპედიურ ლექსიკონზე.

მეოთხე წიგნი გამოვა მალე და ახალ ხელის-მომწერლებისათვის ოთხივე წიგნი (რვაას იგვერდია) გაგზავნით დ მკვიდრის ყდით ეღირება 4 მან ჩვენი ლექსიკონი აუცილებლად საჭიროა ყველა იმათთვის, ვინც სცდილობს თვით-სწავლით შეიძინოს საზოგადო განვითარება. Тифлисъ, Ивану Ростомашвили, Дав. пер. д. Бакрадзе, № 20.